ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 ივნისი, სამშაბათი, 1986 წელი
№ 107, (9198) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მხოლოდ შრომით!

უშრომელი შემოსავალი! ამ მანკიერებამ სხვადასხვა სფეროში სხვადასხვანაირად მოიკიდა ფეხი. ზოგან უშრომელი შემოსავლის წყარო აშკარად შეიძლება დაინახო, ზოგან იგი შენიღბულია და თითქოს ცხოვრების ნორმად იქცა. ყველა ყველა, მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტში რა უშრომელი შემოსავალი შეიძლება იყოს, იკითხავთ. ერთი შეხედვით შეიძლება მართლაც ასე მოჩანდეს, მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, ჩვენს სფეროშიც აღმოჩნდებიან უშრომელი შემოსავლის მოყვარულნი და მათი ხელშემწყობნი.

ფიზკულტურა და სპორტი, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის ეს ერთ-ერთი მძლავრი წყარო, დღეს სპეციალისტების უზარმაზარ არმიას აერთიანებს. მათ შორის ბევრია თავდადებული, მინდობილ საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული მუშაკი. ისინი დგანან ავანგარდში, მათგან იღებს სათავეს ყველა წარმატება ფიზკულტურასა და სპორტში. მაგრამ, ცხადია, ისეთებიც არიან, რომლებიც არავითარ კვალს არ ტოვებენ, ბევრგან სწორედ მათი უნიათობით ჩამორჩა საქმე.

უშრომელ შემოსავალში მარტო წამგლეჯების და გამომძალველების, მექრთამეების „მოღვაწეობა“ არ იგულისხმება. რით არ არის უშრომელი შემოსავალი, როცა ზოგიერთი ხელფასს იღებს, თვიდან თვემდე კი თითს თითზე არ აკარებს? ასეთები ფიზკულტურის ინსტრუქტორებიც არიან, მეთოდისტებიც, მწვრთნელებიც, მათ მსგავსთ არცთუ იშვიათად მმართველობის აპარატებშიც შეხვდებით. უშრომელ შემოსავალსაა გამოდევნებული ზოგიერთი იმ მსაჯებიდან, რომლებიც ფეხბურთელთა საქართველოს პირველობის მატჩებს ემსახურებიან. საბუთი? საზოგადოებრივ აზრზე უკეთესი საბუთი რაღა იქნება. ანდა, ის აურზაური, რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონატის საფეხბურთო მატჩებზეა, მსაჯობაში შემთხვევითი პირების მონაწილეობა, საერთოდ, ლტოლვა ფეხბურთში მსაჯობისკენ რით აიხსნება?

სარედაქციო ფოსტას უამრავი წერილი მოაქვს, რომლებშიც მხილებულია სპორტის სხვადასხვა სახეობის ცალკეული მწვრთნელების ურთიერთობა მშობლებთან. ზოგიერთი ვაი-მწვრთნელი აღსაზრდელის მშობლისგან არც გამოძალვას ერიდება, შეკრებებზე, შეჯიბრებებზე თუ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში გამგზავრების წინ მწვრთნელები და ღონისძიების ორგანიზატორები ფულს აგროვებენ, ზოგიერთი „აღმზრდელი“ აშკარად მოითხოვს მშობლებმა საჩუქარი მიართვან და ა. შ. ანდა სპორტული ბაზები ავიღოთ. როგორ და რა გზით იღებენ უშრომელ შემოსავალს? სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სპორტულ ბაზებს ორგანიზაციები ურიცხავენ ფულს, სამაგიეროდ ან საერთოდ არაფერს იღებენ სპორტული ბაზებიდან, ან უკუგება ძალზე უმნიშვნელოა. ამ შემთხვევაში ორ ორგანიზაციას შორის უხმო თანხმობაა — ფულის ჩამრიცხავს საყვედურს არავინ ეტყვის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის საიჯაროდ გამოყოფილი თანხა აუთვისებელი დაგრჩაო (თანაც ეს იმისთვისაც სჭირდებათ,ვითომ კოლექტივში მუშაობა ჩატარდა), სპორტულ ბაზას და თანამშრომლებს კი რა ედარდებათ, უშრომლად მოვიდა თანხა, რომელიც ასევე უშრომლად მიღებულ ხელფასში გადაიზარდა.

უშრომელი შემოსავლის წყაროდ იქცა მასობრივი თავშეყრისა და დასვენების ადგილებში სპორტული ინვენტარის გაქირავება (ნავები, წყლის ველოსიპედები, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, თხილამურები, ციგები და ა. შ.), რაზედაც „ლელოს“ არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება.

უშრომელი შემოსავლის ყველა გზა საგანგებოდ უნდა ჩაიკეტოს. — ასეთია ჩვენი საზოგადოებრიობის მოთხოვნა, რომელიც იურიდიულად განამტკიცა ახლახან მიღებულმა პარტიისა და მთავრობის სადირექტივო დადგენილებამ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო ბრძანებულებამ.

## ახალი რეკორდი

სოფია. გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის“ პრიზისათვის გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის ბულგარელმა სტეფკა კოსტადინოვამ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 208 სანტიმეტრი. ძველი რეკორდი მის თანამემამულეს ლუდმილა ანდონოვას ეკუთვნოდა (207 სმ).



# ახალი ჩემპიონები

### სამტრედიაში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 1986 წლის ჩემპიონატი



**სამტრედია, 2 ივნისი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).** აქ დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატი. მოჭადრაკეებმა ჯერ გადადებული პარტიები დაამთავრეს და შემდეგ დახკვნითი, XVII ტურის შეხვედრები გამართეს.

გადადებული პარტიების შედეგები: ტერელაძემ მოუგო ხუგაშვილს, წერეთელმა — ნინო მელაშვილს, თანდაშვილმა — ქეთევან მელაშვილს, კახიანმა — ქასოშვილს, ნინო მელაშვილმა — კახიანს. დაზავდნენ ჩხაიძე — ალიხანაშვილი და ლაგვილავა — კურცხალია.

XVII ტურში ლაგვილავამ სძლია მახარაძეს, ხუგაშვილმა — ნიკოლაძეს, ქასოშვილმა — ალიხანაშვილს, კახაბრიშვილმა — თანდაშვილს, კახიანმა — ფანიაშვილს, ნინო მელაშვილმა — ფეჰლევანოვას. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები — ტერელაძე — წერეთელი, ჩხაიძე — კურცხალია, ქეთევან მელაშვილი — მესხი.

ამრიგად, შეჯიბრება დამთავრდა. 12-12 ქულით I-II ადგილები გაიყვეს და საქართველოს ჩ[illegible]ონის ტიტული მოიპოვეს ოსტა[illegible] ქეთევან მელაშვილმა (თბილისი) და ოსტატობის კანდიდატმა სოფიკო ტერელაძემ (სამტრედია). 11,5-11,5 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატმა მზია წერეთელმა (მახარაძე) და საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა ოსტატობის კანდიდატმა ჰენრიეტა ლაგვილავამ (ქუთაისი).

ოთხივე მოჭადრაკემ სსრ კავშირის ქალთა 46-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საგზურები მოიპოვა. გამოცდილ ოსტატებს მელაშვილს და წერეთელს, აგრეთვე 17 წლის ლაგვილავას, საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში ადრეც უასპარეზიათ, 15 წლის სოფიკო ტერელაძე კი აქ პირველად მოსინჯავს ძალას. მისი დებიუტი უთუოდ საინტერესო იქნება.

ტერელაძემ და ლაგვილავამ პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა, რომელიც ამ ტურნირში 11,5 ქულა იყო.

შემდეგ ადგილებზე არიან: ნინო მელაშვილი (თბილისი), ციალა ქასოშვილი (გორი) — 11-11, ქეთევან კახიანი (გარდაბანი) — 10,5, ციცინო კახაბრიშვილი — 9, თამარ ხუგაშვილი — 8,5, გიული ალიხანაშვილი (ყველა — თბილისი), თამილა მესხი (ქუთაისი) — 8-8, ლელა თანდაშვილი, ივეტა კურცხალია (ორივე — თბილისი), სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი) — 7-7, ნანა ჩხაიძე — 6, თამარ მახარაძე (ორივე — თბილისი) — 5,5, მზია ფანიაშვილი (რუსთავი) — 4, ირმა ფეჰლევანოვა (თბილისი) — 3,5.

ჩემპიონატი საზეიმო ვითარებაში დაიხურა.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სამტრედიის საჭადრაკო კლუბის დირექტორი.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** საქართველოს ახალი ჩემპიონები, ოსტატი ქეთევან მელაშვილი (მარცხნივ) და ოსტატობის კანდიდატი სოფიკო ტერელაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

### წყალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირი

# გამარჯვებული ბურთების შეფარდებამ გამოავლინა

**მოსკოვში** დამთავრდა წყალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობდა. როგორც ვიუწყებოდით, თბილისის „ბურევესტნიკმა“ ყველა შეხვედრა მოიგო.



ტურნირის ბოლო დღეს იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — გორკის ნაკრებს შეხვდა. თბილისელებს მეოთხე პერიოდი მინიმალური ანგარიშით მიჰყავდათ (4:3), თამაშის მიწურულს კი ზედმეტი მოთამაშეც აღმოაჩნდათ და შეეძლოთ ანგარიში გაეზარდათ, მაგრამ სამწუხაროდ არაზუსტად ითამაშეს და ბურთი გორკელებს ჩაუვარდათ ხელში. მათ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და კარიც აიღეს.

4:4. ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

საბოლოოდ თბილისელებსა და გორკელებს ქულათა თანაბარი რაოდენობა (7-7) დაუგროვდათ, მაგრამ I ადგილი მიეკუთვნათ გორკელებს, რომელთაც ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდათ. მეორე იყო თბილისის „ბურევესტნიკი“, მესამე — მოსკოვის „უნივერსიტეტი“ (3 ქულა).

ამ ტურნირში თბილისის „ბურევესტნიკის“ გამოსვლაზე დაწვრილებით ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.




### დეპეშა ნომერში

# მშენებლობა შეჩერებულია

**ჩვენი** გაზეთის 29 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ქუთაისიდან მიღებული ელვა-დეპეშა, გვწერდნენ, რომ ბუხაიძის ქუჩის მეორე მიკრორაიონის მცხოვრებთ ჰქონდათ 400 კვადრატული მეტრი ფართობის საბავშვო სპორტული მოედანი, მაგრამ მივიდნენ მშენებლები, მოედანი გადათხარეს და ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას შეუდგნენ.

რედაქციამ მიიღო საპასუხო დეპეშა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან: „ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ ქუთაისის ფილიალმა აღნიშნულ კვარტალში დაგეგმა ერთი 35-ბინიანი 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მშენებლობის პროცესში მარტივი ტიპის სათამაშო მოედნები მოექცა ამწის მოქმედების არეში. ამიტომ უსაფრთხოების მიზნით სარბიელი დროებით გაუქმდა და შემოიღობა. ქალაქის სახინაო სამმართველოსა და საცხოვრებელ კვარტალში მდებარე სკოლის დირექტორთან შეთანხმებით არდადეგების პერიოდში, რომელიც დაემთხვა სახლის მშენებლობის პერიოდს, სკოლის სპორტული მოედნები მთლიანად დაეთმო აღნიშნულ კვარტალში მცხოვრებ ბავშვებს.

დღეისათვის მშენებლობა შეჩერებულია საცხოვრებელი სახლის ჩაშენების სისწორის დასამტკიცებლად. ამის შესახებ წერილობით მივმართეთ საქართველოს „სახმშენს“, მათი გადაწყვეტილების შესახებ დამატებით გაცნობებთ. რაც შეეხება მიკრორაიონის მარტივი ტიპის სპორტულ მოედნებს, იგი ყველა შემთხვევაში პროექტის მიხედვით აღდგება“.

**ა. ძოწენიძე,**
**ქუთაისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.**

MEXICO 86

## მექსიკის სტადიონებზე ფრიალებს ფეხბურთში XIII მსოფლიო ჩემპიონატის ალამი!

**31.V. მეხიკო. იტალია-ბულგარეთი 1:1**
**1.VI. ლეონი. კანადა-საფრანგეთი 0:1**
**1.VI. გვადალახარა. ესპანეთი-ბრაზილია 0:1**



**დღეს თამაშობენ:**

ბელგია-მექსიკა ⚽ ალჟირი-ჩრდილოეთ ირლანდია ⚽ პორტუგალია-ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს IX სპარტაკიადა

# სპარინგ-პარტნიორობაც ვერ შეძლეს

ვფიქრობთ სწორად მოიქცა საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრები ბათუმში გამართულ რესპუბლიკურ სასპარტაკიადო ტურნირში მონაწილეობა რომ არ მიიღო. საქმე ისაა, რომ ეს გუნდი (დაკომპლექტებული 1966 წელსა და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენებით) მოსკოვის დიდი სპორტული ფორუმისთვის საკუთარი გეგმით ემზადება (ამჟამად თელავშია შეკრებაზე) და ტურნირში, რომელშიც პრაქტიკულად არავითარი კონკურენცია არ იყო მოსალოდნელი, მისი მონაწილეობა, ცხადია, მხოლოდ დროის დაკარგვა იქნებოდა.

ამიტომ იყო, რომ მის ნაცვლად თელავს თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდი ეწვია. გუნდს სულ ოთხი მოთამაშე მიემატა — სამი „ბურევესტნიკიდან“ და ერთიც გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატიდან. უნდა ითქვას, რომ სხვა გუნდებმა მეტოქეობა ვერ გაუწიეს ნორჩ თბილისელებს (მწვრთნელი რევაზ ჭანტურია). ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ დედაქალაქელ ხელბურთელებს მეტოქისათვის ნებისმიერი, წინასწარ დათქმული ანგარიშითაც კი შეეძლოთ მოგება. დიახ, მათ ყველა შეხვედრაში ორმაგი ანგარიშით გაიმარჯვეს: აფხაზეთის, სამტრედიისა და მახარაძის გუნდებთან ერთნაირი შედეგით 37:18, ქუთაისის ნაკრებს 42:28 მოუგეს, აჭარისას — 39:19, სამხრეთ ოსეთისას — 48:27, ტყიბულისას — 35:15.

ზემოხსენებულ კოლექტივებში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ ყოფილა მოთამაშე, რომელსაც პერსპექტიული შეიძლება ვუწოდოთ. აშკარად სუსტი იყო ტყიბულის გუნდი, რომელიც ბოლო, მერვე ადგილზე გავიდა. ამ ფონზე მახარაძელები გამოირჩეოდნენ. მართალია, ისინი ბოლოსწინა ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ ისინი, ისე, როგორც თბილისელები, ამ ტურნირში ყველაზე უმცროსები იყვნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გუნდი (მწვრთნელი სერგო ქარჩილაძე) თუ მეტი ხელის შეწყობა ექნება, საკმაოდ პერსპექტიული გახდება.



მოკლედ გამარჯვებულებზე, რომლებიც სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლების I საკავშირო გათამაშებისათვის (1969-1970 წლებში დაბადებულნი) ემზადებიან. მისი ზონალური ტურნირი თბილისში (ოქტომბერში) გაიმართება. თბილისელები ბათუმში საკმაოდ ტექნიკურად და გააზრებულად თამაშობდნენ, ამასთან გუნდის თითოეული წევრი მაღალი სათამაშო და საყოფაცხოვრებო დისციპლინით გამოირჩევა. განსაკუთრებული ქების ღირსია 39-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ბესიკ ოსკოპელი (სიმაღლე 197 სანტიმეტრი), რომელმაც ამ ტურნირში 48 გოლი გაიტანა. კარგად ითამაშა ამავე სკოლის მეათეკლასელმა გელა გაბარაევმაც (40 ბურთი). შედეგიანობით ყველას მაინც კობა ყაველაშვილმა (გლდანის სკოლა-ინტერნატი) აჯობა. მან მეტოქეთა კარი 50-ჯერ აიღო. მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდა თბილისის ზემოხსენებული სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ბესიკ ბერაძე, მაგრამ მას ჯერ ბევრი მუშაობა სჭირდება საკუთარი ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად.

— თბილისელები ისევე როგორც ადრე ქალთა სასპარტაკიადო ტურნირში, აქაც მართლაც ბევრად მაღლა იდგნენ თავიანთ მეტოქეებზე, რომლებმაც საკადრისი სპარინგ-პარტნიორობაც კი ვერ გაუწიეს მათ — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ტრისტან გულდიანმა — უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების დონე დაბალი იყო. თამაშის დროს მწვრთნელები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ყვიროდნენ, ხელს უშლიდნენ მოასპარეზეებს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ იძულებული გავხდით ერთ-ერთი მათგანი სარბიელიდან გაგვეძევებინა. გუნდების უმრავლესობა, თბილისელების და მახარაძელების გარდა, სხვადასხვა ფორმით გამოდიოდა, რაც ლაზათს უკარგავდა შეჯიბრებას.

**ოთარ ოთარაშვილი.**

**სურათზე:** საქართველოს ჩემპიონი — თბილისის ვაჟ ხელბურთელთა გუნდი (მარცხნივ — მწვრთნელი რ. ჭანტურია).

თენგიზ ჯიჯეიშვილის ფოტო.

# სხვებსაც მივხედოთ

**საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სინქრონული ცურვის ოსტატთა შეჯიბრებაში სამსაჯოდ მოსკოველთა ბრიგადა მოიწვიეს. არცაა გასაკვირი, რადგან ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით ყველაზე კვალიფიციურ არბიტრებად სწორედ მოსკოველები ითვლებიან. წყალში „მოცეკვავის“ ოსტატობის შესაფასებლად სწორედ ასეთ მსაჯთა პირუთვნელი აზრია საჭირო.**



— თქვენი სპორტსმენების გამოსვლას ყურადღებით ვადევნებთ თვალს, — გვითხრეს მოსკოველმა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა მარინა როშინამ და რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრმა ანია გალახოვამ. — ისინი ყოველწლიურად იმაღლებენ ოსტატობას. თქვენი გოგონების გამოსვლას უკანასკნელად შარშან დეკემბერში ვუცქირეთ. მას შემდეგ მხოლოდ ხუთი თვე გავიდა, მაგრამ პროგრესი შესამჩნევია.

— მე კი უკმაყოფილო ვარ მათი, — გვეუბნება საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი სინქრონულ ცურვაში ნატალია მაშუკი. — მართალია, ჩვენ ამ შეჯიბრებაზე არც ვაპირებდით შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას, რადგან სპორტული ფორმის ზენიტში საკავშირო სპარტაკიადის დღეებში უნდა ვიყოთ, მაგრამ შეგვეძლო უკეთესად გამოვსულიყავით. საქმე ისაა, რომ ჩვენი სავარჯიშო ბაზა — თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი — ოცი დღით სარემონტოდ დაიხურა. თბილისში სხვაგან ვერსად მივვიჩინეს ადგილი, ამიტომ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის აუზში ვვარჯიშობდით. იქ კი ღრმა აუზი არ არის, ასე რომ, სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალება არ გვქონდა.

მოგეხსენებათ, შეჯიბრების მონაწილეთათვის ერთგვარი სტიმულია მწვავე კონკურენცია. რა კონკურენციაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ნაკრების ლიდერები მთელი თავით მაღლა დგანან დანარჩენებზე. თანაც სპორტის ეს სახეობა მხოლოდ თბილისში, სოხუმსა და ბათუმშია დანერგილი. და ბოლოს, რაც მთავარია, კვალიფიციური მწვრთნელები ძირითადად ნაკრების უძლიერეს სპორტსმენებთან მუშაობენ. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სხვებსაც ხომ უნდა მივხედოთ.

**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.**

ავტორის ფოტოები.



ჯგუფურ ვარჯიშში გამარჯვებული თბილისის გუნდი.

### 2 1 3 ქვარცხლბეკი

**ერთეულთა ვარჯიში.** ხ. ფალასინიდი — 163,30, ლ. მამიაური — 159,95, ნ. მაისურაძე (სამივე თბილისი) — 152,32; **წყვილთა ვარჯიში.** მამიაური — ნ. გელაშვილი — 159,09, ფალასინიდი — ო. დიაკოვა — 155,83, მაისურაძე — ი. ალავიძე (ყველა თბილისი) — 151,52; **ჯგუფური ვარჯიში.** თბილისი (მამიაური, ფალასინიდი, გელაშვილი, მაისურაძე, ალავიძე, ი. არჩევაძე, ქ. ლომოური, დიაკოვა) — 156,28; ქუთაისი (ა. ვოზნიუკი, ვ. მარგველაშვილი, ნ. ჩანსელიანი, ნ. ჩოგოვაძე) — 126,42, სოხუმი (ტ. მელიქიშვილი, მ. ახუბა, ი. ზარია, ლ. დოსოჯუე) — 96,65.

**გუნდური.** თბილისი — 345, ქუთაისი — 183, სოხუმი — 148.

# მოედნები სამოსახლოდ გასცეს

# SOS

ბევრჯერ თქმულა და დაწერილა: დასახლებულ ადგილს სპორტული მოედანი ისევე ჭირდება, როგორც კულტურის სახლი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგან ახალი მოედნის მოწყობის ნაცვლად ძველსაც ანგრევენ.

...გუშინ რედაქციაში გარდაბნის რაიონის სოფელ დიდი ლილოდან სამი ყმაწვილი გვესტუმრა. მათ გადმოგვცეს წერილი, რომელსაც ამ სოფლის სვანეთის უბნის 70 ახალგაზრდა აწერს ხელს: „შარშანწინ მეურნეობის ხელმძღვანელობამ სპორტული მოედნისთვის ადგილი გამოგვიყო. დავიქირავეთ ტრაქტორი, თითქმის ერთი თვე ვიმუშავეთ და ფეხბურთის, ფრენბურთისა და საჭიდაო მოედნები მოვაწყვეთ. ახლახან მეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ ეს ტერიტორია წაგვართვა და სამოსახლოდ გაანაწილა. იქნებ გვიშველოთ?!“

საინტერესოა, რას გვიპასუხებენ დიდი ლილოს მეურნეობის დირექტორი გრიგოლ ონიანი და სადაბო საბჭოს თავმჯდომარე კარლო ქოჩქიანი.

## გამოხმაურება წერილზე

# „საზოგადოებრიობის სამსჯავროზე“

**ჩვენს გაზეთში 27 მაისს გამოქვეყნებულმა მოწინავე წერილმა „საზოგადოებრიობის სამსჯავროზე“, რომელშიც წამოვაყენეთ წინადადება რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შესახებ, მკითხველთა და ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამას ადასტურებს სარედაქციო ფოსტა. ყოველდღიურად მოდის წერილები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან.**

**დღეს ჩვენ გთავაზობთ ერთ წერილს, რომლის ავტორია თბილისელი ლევან ორჯონიკიძე. შესაძლოა ავტორი ზედმეტად მკაცრიც არის ფაქტების შეფასებაში, მაგრამ მთავარია ის, რომ იგი დაუფარავად, გულისტკივილით ლაპარაკობს ნაკლოვანებებზე. აქვე დავძენთ, პრეტენზიები და მოსაზრებები, რომლებსაც ქვემოთ გაეცნობით, ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივარს უსაფუძვლოდ არ უჩნდება.**

**„ძვირფასო რედაქცია!**

ალბათ გულისტკივილითა და შეშფოთებით ალსავსე ბევრ წერილს იღებთ ჩვენს ფეხბურთში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა: ორი გუნდი უმაღლეს ლიგაში, ორიც — პირველ ლიგაში (ლიდერთა შორისაც კი), მაგრამ ამ გუნდებში ვეღარ ვხედავთ მაღალი კლასის ფეხბურთელებს, ისეთებს, რომელთა თამაშის სანახავადაც უნდა მიგვეხაროდეს სტადიონზე. ულიმღამოდ თამაშობს თბილისის „დინამოც“. რა იღონოს გუნდის ხელმძღვანელობამ, რესპუბლიკაში, საფეხბურთო სკოლების აღზრდილებს შორის თუ პერსპექტიული ფეხბურთელები არ არიან? იტყვით: მაშ სად მიდიან ის ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში თამაშობენო? დიახ, თამაშობენ და წარმატებითაც, მაგრამ წარმატებას ხომ იმის ხარჯზე აღწევენ, რომ... 17-18 წლისანი უმცროს მეტოქეებზე უფრო სწრაფები და ღონივრები არიან. ბავშვთა ფეხბურთში ფეხმოკიდებულ ამ სენს კი სისტემატურად არავინ ებრძვის. ჩვენი სპორტული ორგანიზაციები ზომებს, მაშინ თუ იღებენ, როცა სხვა გამოააშკარავებს ამ თაღლითობას, ისიც შემთხვევით. არავინ ფიქრობს პროფილაქტიკურ ღონისძიებაზე, იმაზე, რომ გუნდში ასაკგადაცილებული ფეხბურთელები არ თამაშობდნენ. ბავშვთა შეჯიბრებებს პრესის წარმომადგენლებიც იშვიათად ესწრებიან. ბევრ შეხვედრაზე, სამწუხაროდ, შემთხვევითი პირები მსაჯობენ.

1971 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის „სიჭაბუკის თასის“ რესპუბლიკურ გათამაშებას დავესწარი. ბათუმის „დინამო“ „ავაზას“ ხვდებოდა. ბათუმის გუნდში უფრო მოზრდილი ჭაბუკები თამაშობდნენ. მეტიც, როგორც მსაჯმა სულაძემ პირად საუბარში განაცხადა, ჭიათურაში, სადაც ის მსაჯობდა, უფრო მოზრდილი ბათუმელი ჭაბუკებიც უნახავს, ზოგიერთი მათგანი სასწრაფოდ წასულა თბილისში მწვრთნელ ლერი ველურიძის გუნდში სათამაშოდ.

ბათუმის გუნდმა საწადელს მიაღწია, ორი მატჩის ჯამში დაამარცხა „ავაზა“. მაგრამ განა ეს არის საბოლოო მიზანი? ასეთი მაქინაციების შემდეგ რა გასაკვირია, რომ ამჟამად ბათუმის „დინამოს“ გუნდში ფაქტიურად ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის თითო-ოროლა აღზრდილი თუ თამაშობს.

სავალალო მდგომარეობა ბავშვთა ფეხბურთში მანამ იქნება, სანამ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი საფუძვლიანად არ ჩაერევა საქმეში და რადიკალურ ზომებს არ გაატარებს სხვადასხვა შეჯიბრებებში ასაკგადაცილებული ჭაბუკების მონაწილეობის აღსაკვეთად.

მეორე ნახევარფინალურ მატჩს თბილისში „ავაზას“ და ბათუმის „დინამოს“ შორის ესწრებოდნენ ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, მსაჯთა კოლეგიის წევრები. მატჩს ემსახურებოდა მსაჯთა კვალიფიციური ბრიგადა, მაგრამ მთავარი — მინდორზე თანატოლები იყვნენ თუ არა, შეუმოწმებელი დარჩა. არადა, ყოველი მატჩის დაწყებამდე და თამაშის დამთავრების შემდეგ გულდასმით უნდა შემოწმდეს მოთამაშეთა ასაკი. ჩემს გვერდით უფრო მოზრდილმა თბილისელმა ჭაბუკებმა იცნეს რამდენიმე ბათუმელი ფეხბურთელი, რომელთაც ადრე მათ წინააღმდეგ უთამაშიათ. ასე რომ, აუცილებელია საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. ეს თქვენმა გაზეთმაც შეიძლება ითავოს, უნდა გამოიყოს საზოგადოებრივი კომისია (შესაძლოა მასში მოწინააღმდეგე გუნდების წარმომადგენლებიც შევიდნენ), თორემ ფეხბურთის ფედერაცია ამას თავს ვერ ართმევს. ვიყოთ გულახდილნი, ზოგჯერ ფედერაციის მუშაკები ერიდებიან კიდეც თავიანთი მეგობრების ინტერესების „შელახვას“.

როცა ბავშვთა ფეხბურთში ნეგატიური მოვლენები საბოლოოდ აღმოიფხვრება და ულირსი მწვრთნელები ჩამოშორდებიან პედაგოგიურ საქმიანობას, მაშინ შესაძლოა კვლავ ვიხილოთ მწვანე მინდორზე ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტ რაინდთა მემკვიდრენი.

**ლევან ორჯონიკიძე.“**

# უპატრავად. შეგახსენებთ!

**ამა წლის 15 და 16 მარტს ჩვენმა გაზეთმა სათაურით „უხეირო მზრუნველები“ გამოაქვეყნა ვლადიმერ მდივანის კრიტიკული წერილი, რომელიც რესპუბლიკაში ფეხბურთის მწვავე პრობლემებს ეხებოდა. საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს ფედერაციას დღემდე არ გამოუგზავნია პასუხი რედაქციისათვის. თავს ნებას მივცემთ ვკითხოთ: კიდევ რამდენი თვე დასჭირდება პასუხის მომზადებას?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი საფეხბურთო ფორუმი მექსიკაში

**მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელსაც ასე მოუთმენლად მოველოდით ყველანი, დაიწყო! მეხიკოს „აცტეკას" ვეება სტადიონზე ტევა არ იყო, მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის სადღესასწაულო ცერემონიალს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს სტადიონზე დამსწრე გულშემატკივრებიც და ურიცხვი ტელემაყურებლებიც, დედამიწის ყველა კუთხეში.**

საზეიმო გახსნის შემდეგ პირველ მატჩში ითამაშეს მსოფლიო ჩემპიონებმა — იტალიელმა ფეხბურთელებმა, რომელთა მეტოქე ბულგარეთის ნაკრები იყო. XIII მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გოლი იტალიელმა ალტობელიმ გაიტანა, ბულგარელებმა კი მატჩის ბოლო წუთებზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 1:1 (სირაკოვი). ბულგარელთა უფროსმა მწვრთნელმა ი. ვუცოვმა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კმაყოფილება გამოთქვა თავისი ფეხბურთელების თამაშით და განაცხადა, რომ ბულგარეთის ნაკრებს გარკვეული შანსი გაუჩნდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასასვლელად. სამაგიეროდ, იტალიელთა ხელმძღვანელი ე. ბეარზოტი ისე იყო გაწბილებული, რომ არც კი მოვიდა ამ პრესკონფერენციაზე.

თუმცა, ზოგიერთი მიმომხილველი მაინც არ ივიწყებს, რომ იტალიელებმა ასევე უფერულად დაიწყეს 1982 წლის ჩემპიონატი და ნამდვილ სპორტულ ფორმაში მხოლოდ მომდევნო მატჩებში შევიდნენ.

ყველა დიდი ინტერესით ელოდა ბრაზილიისა და ესპანეთის ფეხბურთელთა შეხვედრას ქ. გვადალახარის სტადიონზე. ბრაზილიელთა შემადგენლობაში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოდიოდა. ესპანელებმა ძალზე ძლიერად ითამაშეს ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან, თუმცა, მაინც დამარცხდნენ — 0:1, ბურთი სოკრატესმა გაიტანა.

ევროპის 1984 წლის ჩემპიონებმა ფრანგმა ფეხბურთელებმა მხოლოდ უკიდურესად დაძაბული, მძიმე ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის დებიუტანტი — კანადის ნაკრები (1:0), ეს ერთადერთი ბურთი ფრანგების ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჟან-პიერ პაპენმა გაიტანა (იგი ბელგიის პროფესიულ კლუბ „ბრიუგეში" გამოდის).

ამ მატჩის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა საბჭოთა გუნდის მცველმა ა. დემიანენკომ, რომელიც სულ ახლახან გუნდის კაპიტნად აირჩიეს (ნაკრების ვიცე-კაპიტანია მეკარე რ. დასაევი):

**— ასეთ თამაშს არც ჩვენ, არც სხვა სპეციალისტები არ ელოდნენ კანადელთაგან, რომელთაც წინასწარ ჯგუფში ბოლო ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ. კანადელებმა ტიპიური ინგლისური ყაიდის ფეხბურთი შესთავაზეს მეტოქეს: ძალისმიერი, სწრაფი, ზუსტი ფლანგური გადაცემებით. კანადის ნაკრებიდან განსაკუთრებით გამოვყოფ უილსონს, ნორმენს, ვალენტაინს, მაგრამ ფრანგების აღიარებულმა ლიდერებმა პლატინიმ და ტიგანამ კი ხეირიანი ვერაფერი გვიჩვენეს.**

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატის პირველ 3 შეხვედრაში სულ 4 ბურთი იქნა გატანილი, რამდენიმე მიმომხილველმა კი წინასწარვე თქვა, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი უხვგოლიანი არ იქნებაო...



**საბჭოთა კავშირის ნაკრების მცველი ალექსანდრე ჩივაძე ქალაქ ირაპუატოს პატარა მცხოვრებთან ერთად. ეს გოგონა საბჭოთა ნაკრებს ესტუმრა და წარმატება უსურვა ჩვენს ფეხბურთელებს.**





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ბრაზილიისა და ესპანეთის ფეხბურთელთა მეტად დაძაბულ მატჩში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს გამარჯვება მოუტანა სოკრატესის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა; ბრაზილიელთა მცველმა ჟუნიორმა ასე გამოხატა თავისი აღტაცება სოკრატესის მიმართ.**

საქდესისა და საქინფორმის ტელეფოტოები.

# კვლავ ფავორიტთა შორის

## წარმოგიდგენთ ფინალისტებს

### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

1984 წელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, გუნდის მწვრთნელი იუპ დერვალი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის მაგივრად ფრანც ბეკენბაუერი დანიშნეს. ბეკენბაუერი, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი, დასავლეთგერმანელთა ნაკრების რიგით მეოთხე მწვრთნელია ზეპ ჰერბერგერის, ჰელმუტ შიონისა და იუპ დერვალის შემდეგ. თუმცა სიტყვა მწვრთნელი ამ შემთხვევაში არც ისე ზუსტია. საქმე იმაშია, რომ ბეკენბაუერს არ გააჩნია მწვრთნელის ლიცენზია და ამიტომ ოფიციალურად არა მარტო ნაკრების, ბუნდესლიგის კლუბების მწვრთნელობის უფლებაც კი არა აქვს. მიუხედავად ამისა, დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰერმან ნოიბერგერმა, რომელიც ამავე დროს ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტიც არის, იპოვნა გამოსავალი: ნაკრებში გაჩნდა ახალი საშტატო ერთეული: „გუნდის შეფი". როგორც ხედავთ ბატონმა ნოიბერგერმა არც მწვადი დაწვა და არც შამფური, ნაკრები არსებული კანონის დაურღვევლად ჩააბარა ადამიანს, ვისაც მას სჯერა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ კონკრეტულად რას ელის ნოიბერგერი ახალი ხელმძღვანელისგან, მაგრამ ერთი რამ ცხადია, დასავლეთ გერმანიის ნაკრები, რომელიც ყოველთვის ფავორიტთა შორის იყო, ახლაც უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძოლებს.

ბეკენბაუერის წინაშე იდგა მისთვის პირველი ამოცანა: მექსიკის საგზურის მოპოვება. გუნდის მომზადებისას ახალმა მწვრთნელმა ყველა ღონე იხმარა ეროვნულ გუნდში ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელის ბერნდ შუსტერის დასაბრუნებლად, მაგრამ ამაოდ. ასე რომ, მისმა გუნდმა შესარჩევ ტურნირში ბრძოლა ნიჭიერი და ძლიერი, მაგრამ მძიმე ხასიათის მქონე შუსტერის გარეშე დაიწყო.

მეორე შესარჩევ ჯგუფში, სადაც დასავლეთგერმანელებთან ერთად პორტუგალიის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და მალტის ეროვნული გუნდები გამოდიოდნენ, ბეკენბაუერის გუნდის დებიუტი საკმაოდ წარმატებული გამოდგა: 5 შეხვედრა — 5 გამარჯვება! აქედან სამი, მეტოქის მინდორზე. ამით დასავლეთგერმანელებმა პრაქტიკულად გაინაღდეს ფინალში თამაშის უფლება და თავს ერთგვარი მოდუნების უფლება მისცეს, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდათ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს პორტუგალიის ნაკრებთან განცდილი მარცხი (0:1). მთავარი ის კი არ არის, რომ ისინი შინ დამარცხდნენ, არამედ ის, რომ ეს იყო დასავლეთ გერმანიის ნაკრების პირველი წაგება საერთოდ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირების ისტორიაში. რა თქმა უნდა, ამან გერმანელთა ბანაკში ყველას დაწყვიტა გული, მაგრამ ეს ამბავი ტრაგედიად არ გადაუქცევიათ. გფრ-ის ნაკრებმა მექსიკაში თამაშის უფლება მოიპოვა და მისთვის ეს იყო მთავარი.

მექსიკაში ფრანც ბეკენბაუერი იმ ფეხბურთელებს ათამაშებს, რომლებმაც შესარჩევ ტურნირში იასპარეზეს. გუნდის ბირთვი გარკვეულია: შუმახერი (შესარჩევ ტურნირში ჩაატარა 8 მატჩი), ჰერგეტი (7, გაიტანა 2 გოლი), კარლ-ჰაინც ფიორსტერი (7, 1), ბრიგელი (7), კარლ-ჰაინც რუმენიგე (5,3), ფიოლერი (5, 2), ლიტბარსკი (5, 3) და სხვები.

დასავლეთ გერმანიის ნაკრები მექსიკაში, ყველაზე ძლიერ, მეხუთე ჯგუფში გამოვა. მოთამაშეებს ძნელი ბრძოლები ელით, მაგრამ დასავლეთგერმანელებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ მაღალ კლასთან ერთად ნებისყოფის სიმტკიცეც აქვთ. ასე რომ, წესით ისინი კვლავ ფავორიტთა შორის უნდა იყვნენ.

## გფრ-ის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში

| № | თარიღი | ეტაპი | ქალაქი | მეტოქე | ანგარიში | დას. გერმანელ. გოლ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 17.06.1954 | ჯგ | ბერნი | თურქეთი | 4:1 | კლოდტი, მორლოკი, ო. ვალტერი, შეფერი |
| 2. | 20.06. " | " | ბაზელი | უნგრეთი | 3:8 | პფაფი, რანი, ჰერმანი, |
| 3. | 23.06. " | " | ციურიხი | თურქეთი | 7:2 | მორლოკი (3), შეფერი (2), ო. ვალტერი, ფ. ვალტერი |
| 4. | 27.06. " | 1/4 | ჟენევა | იუგოსლავია | 2:0 | რანი, ჰორვატი (საკ. კარში). |
| 5. | 30.06. " | 1/2 | ბაზელი | ავსტრია | 6:1 | ო. ვალტერი (2), ფ. ვალტერი (2), მორლოკი, შეფერი |
| 6. | 4.07. " | ფ | ბერნი | უნგრეთი | 3:2 | რანი (2), მორლოკი. |
| 7. | 8.06.1958 | ჯგ | მალმიო | არგენტინა | 3:1 | რანი (2), ზეელერი. |
| 8. | 11.06. " | " | ჰელსინგბორგი | ჩეხოსლოვაკია | 2:2 | რანი, შეფერი. |
| 9. | 15.06. " | " | მალმიო | ჩრდ. ირლანდია | 2:2 | რანი, ზეელერი. |
| 10. | 19.06. " | 1/4 | მალმიო | იუგოსლავია | 1:0 | რანი |
| 11. | 24.06. " | 1/2 | გიოტებორგი | შვეცია | 1:3 | ზეელერი |
| 12. | 28.06. " | III ად. | გიოტებორგი | საფრანგეთი | 3:6 | რანი, შეფერი, ჩესლარჩიკი. |
| 13. | 31.05.1962 | ჯგ | სანტიაგო | იტალია | 0:0 | |
| 14. | 3.06. " | " | სანტიაგო | შვეიცარია | 2:1 | ბრიუსი, ზეელერი |
| 15. | 6.06. " | " | სანტიაგო | ჩილე | 2:0 | შიმანიაკი, ზეელერი |
| 16. | 10.06. " | 1/4 | სანტიაგო | იუგოსლავია | 0:1 | |
| 17. | 12.07.1966 | ჯგ | შეფილდი | შვეიცარია | 5:0 | ჰალერი (2), ბეკენბაუერი (2), ჰელდი. |
| 18. | 16.07. " | " | ბირმინგემი | არგენტინა | 0:0 | |
| 19. | 20.07. " | " | ბირმინგემი | ესპანეთი | 2:1 | ემერიხი, ზეელერი |
| 20. | 23.07. " | 1/4 | შეფილდი | ურუგვაი | 4:0 | ჰალერი (2), ბეკენბაუერი, ზეელერი |
| 21. | 25.07. " | 1/2 | ლივერპული | სსრ კავშირი | 2:1 | ჰალერი, ბეკენბაუერი. |
| 22. | 30.07. " | ფ | ლონდონი | ინგლისი | 2:4 | ჰალერი, ვებერი |
| 23. | 3.06.1970 | ჯგ | ლეონი | მაროკო | 2:1 | ზეელერი, მიულერი |
| 24. | 7.06. " | " | ლეონი | ბულგარეთი | 5:2 | მიულერი (3), ლიბუდა, ზეელერი |
| 25. | 10.06. " | " | ლეონი | პერუ | 3:1 | მიულერი (3) |
| 26. | 14.06. " | 1/4 | ლეონი | ინგლისი | 3:2 | ბეკენბაუერი, ზეელერი, მიულერი |
| 27. | 17.06. " | 1/2 | მეხიკო | იტალია | 3:4 | მიულერი (2), შნელინგერი |
| 28. | 20.06. " | III ად. | მეხიკო | ურუგვაი | 1:0 | ოვერატი |
| 29. | 14.06.1974 | ჯგ | დას. ბერლინი | ჩილე | 1:0 | ბრაიტნერი |
| 30. | 18.06. " | " | ჰამბურგი | ავსტრალია | 3:0 | ოვერატი, კულმანი, მიულერი |
| 31. | 22.06. " | " | ჰამბურგი | გდრ | 0:1 | |
| 32. | 26.06. " | II ეტ. | დიუსელდორფი | იუგოსლავია | 2:0 | ბრაიტნერი, მიულერი |
| 33. | 30.06. " | " | დიუსელდორფი | შვეცია | 4:2 | ოვერატი, ბონჰოფი, გრაბოვსკი, ჰოინესი |
| 34. | 3.07. " | " | მაინის ფრანკფურტი | პოლონეთი | 1:0 | მიულერი |
| 35. | 7.07. " | ფ | მიუნხენი | ჰოლანდია | 2:1 | ბრაიტნერი, მიულერი |
| 36. | 17.06.1978 | ჯგ | ბუენოს-აირესი | პოლონეთი | 0:0 | |
| 37. | 6.06. " | " | კორდობა | მექსიკა | 6:0 | რუმენიგე (2), ფლოე (2), დ. მიულერი, ჰ. მიულერი |
| 38. | 10.06. " | " | კორდობა | ტუნისი | 0:0 | |
| 39. | 14.06. " | II ეტ. | ბუენოს-აირესი | იტალია | 0:0 | |
| 40. | 18.06. " | " | კორდობა | ჰოლანდია | 2:2 | აბრამჩიკი, დ. მიულერი |
| 41. | 21.06. " | " | კორდობა | ავსტრია | 2:3 | რუმენიგე, ჰოლცენბაინი |
| 42. | 16.06.1982 | ჯგ | ხიხონი | ალჟირი | 1:2 | რუმენიგე |
| 43. | 20.06. " | " | ხიხონი | ჩილე | 4:1 | რუმენიგე (3), რაინდერსი |
| 44. | 25.06. " | " | ხიხონი | ავსტრია | 1:0 | ჰრუბეში |
| 45. | 29.06. " | II ეტ. | მადრიდი | ინგლისი | 0:0 | |
| 46. | 2.07. " | " | მადრიდი | ესპანეთი | 2:1 | ლიტბარსკი, ფიშერი |
| 47. | 8.07. " | 1/2 | სევილია | საფრანგეთი | 3:3 | (5:4 პენ.) ლიტბარსკი, რუმენიგე, ფიშერი |

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**31 მაისს და 1 ივნისს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, XII ტურის მატჩები.**

საქართველოს ორივე გუნდი — თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ — სტუმრად თამაშობდნენ მოსკოვში. თბილისელები შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდს, ხოლო ქუთაისელები „სპარტაკს“.

დინამოელთა გუნდების მატჩის პირველ ნახევარში ორივე მხარე ცდილობდა სათამაშო უპირატესობისთვის მინდვრის შუაგულში მიეღწია, შემდეგ კი, როცა ბრძოლაში თავდამსხმელები ებმებოდნენ, დაცვითი ხაზები ენერგიული თამაშით იგერიებდნენ მათს შეტევებს.

ამ ორმხრივ იერიშებში პირველ წარმატებას მოსკოველებმა მიაღწიეს: მარცხენა ფრთაზე გაიჭრა ბოროდიუკი, რომელმაც საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა და შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 1:0.

თბილისელებმა კონტრიერიშით უპასუხეს გაშვებულ ბურთს, მაგრამ 37-ე წუთზე ბოროდიუკმა კვლავ მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, კარის წინ ჩააწოდა და იქ მცველებს წამით დაასწრო კარატაევმა — 2:0.

შესვენების შემდეგ თამაში კარგა ხანს მოსკოველთა ნახევარზე მიმდინარეობდა, თბილისელ ფეხბურთელებს გუცაევს, გაზაევს, შემდეგ — ჩელებაძეს შეეძლოთ ცვლილება შეეტანათ ანგარიშში, მაგრამ მასპინძელთა მცველებმა და მეკარე პრუდნიკოვმა მოიგერიეს ყველა ეს შეტევა.

გუნდების შემადგენლობანი: **მოსკოვი** — პრუდნიკოვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, სილკინი, დობროვოლსკი, ბულანოვი, კობელევი (კოლივანოვი), სტუკაშოვი (მოლოდცოვი), კარატაევი, ბოროდიუკი; **თბილისი** — გაბელია, კეტაშვილი, არზიანი, ჰედია, კუდინოვი (ყორდანია), კაკილაშვილი (ჩელებაძე), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, გაზაევი, ჯოხაძე. მსაჯი ვ. ჟუკი (მინსკი). დუბლიორთა მატჩშიც გამარჯვება მოსკოველებს ხვდათ წილად — 2:0.

მოსკოვის „სპარტაკისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრის დასაწყისში ტორპედოელები წარმატებით უმკლავდებოდნენ მეტოქეს, მაგრამ ტაიმის დასასრულს, 38-ე და 43-ე წუთებზე, სპარტაკელებმა ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს (ნოვიკოვი, ვოლგინი) და შესვენების შემდეგ უკვე გამარჯვებაში დარწმუნებულნი გამოვიდნენ მინდორზე. მიმდინარეობდა 50-ე წუთი, როცა ჩერენკოვმა მესამედ აიღო ტორპედოელთა კარი, შემდეგ კი რუდაკოვმა და იმავე ჩერენკოვმა ანგარიში 5:0-მდე აიყვანეს.

ამ მატჩში **„სპარტაკის“** შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ჩერჩესოვი, მიტინი, ბ. კუზნეცოვი, ხიდიატულინი, პოპელნუხა, ბოგაჩოვი, რუდაკოვი (რუსიაევი), ვოლგინი, ნოვიკოვი (ატაულინი), ჩერენკოვი (ერიომენკო), კუძლევი; **ქუთაისის „ტორპედო“** — ქანთარია, ჰელიძე (ხუნდაძე), პაიკიძე, მალანია, ვასაძე, დოჩია, კორღალიძე, ყორყიკაშვილი, მეგრელაძე, ხაგბა (მანაგაძე), შენგელია, მსაჯი — ი. მილიაუსკასი (ალიტუსი). გააფრთხილეს სპარტაკელი ვოლგინი. დუბლიორთა შეხვედრაც, აგრეთვე სპარტაკელთა გამარჯვებით დამთავრდა — 6:1, ქუთაისელთაგან ბურთი გაიტანა წიკლაურმა.

1 ივნისს ჩატარებულ სხვა შეხვედრათა შედეგები:

**„ჩერნომორეცი“ — „არარატი“ 0:0**
**„დნეპრი“ — „ნეფთჩი“ 1:1**
**„შახტიორი“ — „ქაირათი“ 2:0**
**„ზენიტი“ — „დინამო“ მნ. 1:2**
**„მეტალისტი“ — „ტორპედო“ მ. 2:3**

**საქართველოს გუნდები მომდევნო ტურის მატჩებს 7 და 8 ივნისს კვლავ მოსკოვში გამართავენ. ტორპედოელები შეხვდებიან „დინამოს“, ხოლო თბილისელები — „სპარტაკს“.**

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 3 ივნისისთვის**

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 12 | 5 | 4 | 3 | 20-13 | 14 (—10) |
| 2. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 10 | 5 | 3 | 2 | 14-7 | 13 (— 7) |
| 3. „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 5 | 3 | 3 | 15-12 | 13 (— 9) |
| 4. „შახტიორი“ (დონეცკი) | 12 | 5 | 3 | 4 | 13-11 | 13 (—11) |
| 5. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 12 | 4 | 5 | 3 | 16-13 | 13 (—11) |
| 6. „დინამო“ (თბილისი) | 12 | 4 | 5 | 3 | 11-12 | 13 (—11) |
| 7. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 12 | 4 | 4 | 4 | 12-13 | 12 (—12) |
| 8. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 11 | 3 | 6 | 2 | 12-13 | 12 (—10) |
| 9. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 11 | 4 | 3 | 4 | 7-9 | 11 (—11) |
| 10. „დინამო“ (მინსკი) | 11 | 4 | 2 | 5 | 10-14 | 10 (—12) |
| 11. „დინამო“ (კიევი) | 7 | 3 | 4 | 0 | 12-6 | 10 (— 4) |
| 12. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 11 | 3 | 4 | 4 | 7-13 | 10 (—12) |
| 13. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 10 | 3 | 3 | 4 | 15-10 | 9 (—11) |
| 14. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 12 | 2 | 5 | 5 | 10-12 | 9 (—15) |
| 15. „არარატი“ (ერევანი) | 12 | 2 | 5 | 5 | 6-10 | 9 (—15) |
| 16. „ტორპედო“ (ქუთაისი) | 12 | 1 | 5 | 6 | 7-19 | 7 (—17) |

## I ლიგა

31 მაისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIV ტურის მატჩები.

**„დინამო“ (ბათუმი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0**

**ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 31 მაისი.**

**„დინამო“: მამინაშვილი, გოგიტიძე, დურდიაძე, კაკაბაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, შელია, გორგილაძე, თვალაბეიშვილი (პაიჭაძე).**

**„ყუბანი“: ჭანჭლავა, გორიუნოვი, პოდობედოვი, ვორობიოვი, გერასიმოვი (კნიაჟევი), ჩებოტარიოვი, ლაგოიდა, მახოვიკოვი, რუდკო (შეპელი), ზამრიი (იაშჩენკო), სემენიუკოვი.**

**მსაჯი ა. კაფაჯი (ოდესა).**

დინამოელებმა აქტიურად, მონდომებით დაიწყეს თამაში, მე-12 წუთზე გორგილაძე კარგ პოზიციაში აღმოჩნდა „ყუბანის“ კარის წინ, მაგრამ მცველებმა მოასწრეს და კუთხურზე მოიგერიეს ბურთი.

მასპინძლები შემდგომშიც უტევდნენ, ერთხელ ათუაშვილის დარტყმა ძელმაც მოიგერია, თუმცა, კრასნოდარელებიც ახორციელებდნენ კონტრშეტევებს და სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ.

ასევე მიმდინარეობდა თამაში მეორე ტაიმშიც, ორივე მხარემ კვლავ ვერ გამოიყენა რამდენიმე სახიფათო მომენტი, 88-ე წუთზე კი მეკარე ჭანჭლავასთან პირისპირ გასული ზედანია წესის დარღვევით წააქცია ერთ-ერთმა მცველმა. ოდესელმა მსაჯმა ეს ეპიზოდი წესის დარღვევად არ მიიჩნია, 11-მეტრიანი არ დანიშნა და მატჩიც ფრედ დამთავრდა — 0:0.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

• • •

ამავე დღეს ლანჩხუთის „გურია“ სტავროპოლში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს“. ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა სუსტად ითამაშეს და დიდი ანგარიშით წააგეს მატჩი — 0:4.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი“ (კემეროვო) — „პამირი“ (დუშანბე) 1:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:1, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი)— ცსკა 2:0, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 4:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 2:1.

**შემდგომ, XV ტურში ლანჩხუთის „გურია“ შინ მიიღებს ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, ხოლო ბათუმის დინამოელები რიგაში შეხვდებიან „დაუგავას“.**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 3 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 13 | 8 | 3 | 2 | 25-12 | 19 |
| „დაუგავა“ | 13 | 8 | 3 | 2 | 28-16 | 19 |
| „როსტს.“ | 14 | 7 | 4 | 3 | 29-20 | 18 |
| „ლოკომ.“ | 13 | 7 | 4 | 2 | 16-7 | 18 |
| „დინამო“ ბ. | 13 | 7 | 3 | 3 | 13-14 | 17 |
| „გურია“ | 13 | 7 | 2 | 4 | 21-22 | 16 |
| „კოლოსი“ | 14 | 6 | 4 | 4 | 13-14 | 16 |
| „როტორი“ | 13 | 7 | 1 | 5 | 17-10 | 15 |
| „შინიკი“ | 13 | 6 | 3 | 4 | 8-6 | 15 |
| „დინ.“ სტ. | 14 | 3 | 9 | 2 | 14-10 | 15 |
| „პამირი“ | 13 | 4 | 6 | 3 | 20-16 | 14 |
| „ფახთაქ.“ | 13 | 6 | 1 | 6 | 17-16 | 13 |
| ასკ რ. | 14 | 5 | 3 | 6 | 11-12 | 13 |
| ასკ „კარპ.“ | 13 | 5 | 2 | 6 | 22-17 | 12 |
| „ფაკელი“ | 13 | 4 | 4 | 5 | 13-11 | 12 |
| „ყუბანი“ | 14 | 2 | 8 | 4 | 7-9 | 12 |
| „მეტალ.“ | 12 | 5 | 1 | 6 | 13-12 | 11 |
| „ისკრა“ | 13 | 4 | 3 | 6 | 7-13 | 11 |
| „კოტაიკი“ | 13 | 2 | 6 | 5 | 5-11 | 10 |
| „სპარტაკი“ | 13 | 3 | 3 | 7 | 15-20 | 9 |
| „კუზბასი“ | 13 | 2 | 5 | 6 | 11-21 | 9 |
| ასკ ხ. | 13 | 2 | 4 | 7 | 12-18 | 8 |
| „ატლანტ.“ | 13 | 2 | 4 | 7 | 7-16 | 8 |
| „ნისტრუ“ | 13 | 2 | 2 | 9 | 8-29 | 6 |

## II ლიგა

1 ივნისს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XI ტურის მატჩები: „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:0, „ოლიმპია“ (აშტარაკი )— „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 0:3, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 1:1, „გიანჯლიკი“ (ბაქო) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 5:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:1, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 1:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:1.

## საქართველოს პირველობა

28, 31 მაისსა და 1 ივნისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

„შევარდენი“-სპი (თბილისი) — ასკ (თბილისი) 6:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:0, „კახეთი“ (თელავი) — „იმედი“ (თბილისი) 3:0, „ივერია“ (ხაშური) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „სინათლე“(თბილისი) 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:1.

**დასავლეთი ჯგუფი**

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:0, „სულორი“ (ვანი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:0, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 5:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (გაგრა) 1:0, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:2.

# 7-14 ივნისს ჩვენს ქვეყანაში ტარდება ველოსპორტის კვირეული

**მეცნიერულ**-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ცხოვრებიდან თანდათან იდევნება ტრანსპორტის პრიმიტიული საშუალებანი. დროის გამოცდას მხოლოდ ველოსიპედმა გაუძლო — ადამიანმა იგი თითქოს ხელახლა აღმოაჩინა.

„უმოძრაობის საუკუნეში“ ფეხით სიარული, რბენა, ველოსიპედით სეირნობა თვისობრივად ახალ მნიშვნელობას იძენს. ველოსიპედის დამსახურება სწორედ ის არის, რომ ადამიანს მხნეობას და ხალისს მატებს, დაქვეითებული მოძრაობითი აქტივობის აღდგენაში ეხმარება.

ველოსიპედი მე-17 საუკუნეში გამოიგონეს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი აღმოჩენა და გამოგონება დავიწყებას მიეცა, ველოსიპედი კი დარჩა. დარჩა, როგორც ყველაზე მოხერხებული, იაფი, უხმაურო და უპრეტენზიო ტრანსპორტი, ადამიანის კეთილი და უერთგულესი მსახური.



ველოსპორტისა და ველოტურიზმის მნიშვნელობა განუზომელია თანამედროვე პირობებში ადამიანის გაჯანსაღების, სიმხნევისა და ფიზიკური გაკაჟებისთვის. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ დღეს ველოსპორტმა მთელი მსოფლიო ხელახლა დაიპყრო.

საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ რაიონებში ველოსიპედი მუდამ პოპულარული იყო და განსაკუთრებული პატივისცემითაც სარგებლობდა. რაიონულ ცენტრებში, სოფლებში ხშირად შეხვდებოდით ველოსიპედზე ამხედრებულ გოგო-ბიჭებს, ასაკოვან ადამიანებს. ველოსიპედი იქ არა მარტო ტრანსპორტის ყველაზე მისაწვდომი და პრაქტიკული საშუალება, არამედ სიმხნევის წყარო და ჯანსაღი ცხოვრების წესის გამომხატველი ნორმა იყო. ამ ტრადიციას არ უნდა ვუღალატოთ. ველოსიპედმა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს.

## სპორტკომიტეტების საყურადღებოდ!

**ველოსპორტის კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებით, როგორც სპორტსახკომიდან გვაცნობეს, დამატებითი შეტყობინება არ დაიგზავნება.**

## ჭადრაკი

**ვანი. 2 ივნისი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ვახტანგ ქარსელაძის VII მემორიალის მონაწილეებმა XIII ტურის შეხვედრები გამართეს.**

სტურუამ მოუგო ასეევს, გიორგაძემ — ანიკაევს, გურგენიძემ — გურიელს, ბალაშუროვმა — აგაპოვს და აზმაიფარაშვილმა — ჰიპაშვილს. დაზავდნენ ჯანჯლავა — გუფელდი, თორია — ჰუსეინოვი და იაელიანი — ეფიმოვი.

XIII ტურის შემდეგ (წინასწარ ნათამაშები XV ტურის შედეგების ჩათვლით) ლიდერობენ: ზურაბ სტურუა — 9,5 ქულა, გია გიორგაძე — 9 (1), ზურაბ აზმაიფარაშვილი — 8,5 (3), კონსტანტინ აგაპოვი (ლენინგრადი) —7,5 (2), ედუარდ გუფელდი, ლაშა ჯანჯლავა — 7,5-7,5 (1-1).

მემორიალის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა.

• • •

**ბუგოინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა ორწრიან საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად და გაიმართა V ტური.**

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს კარპოვმა დაამარცხა იუსუპოვი. ყაიმზე შეთანხმდნენ პორტიში და სოკოლოვი, იუსუპოვი და ტიმანი.

V ტურში იუსუპოვმა პირველი მარცხი აწვნია მაილსს. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ტიმანი — პორტიში და სპასკი — სოკოლოვი. დაუმთავრებელი დარჩა კარპოვისა და ლიუბოევიჩის პარტია.

## ელვა-ინფორმაცია

**VI ტურში მაილსმა მოუგო ტიმანს და 3,5 ქულით დაწინაურდა. ყაიმით დამთავრდა პორტიში—კარპოვისა და სპასკი — იუსუპოვის შეხვედრები. სოკოლოვ—ლიუბოევიჩის პარტია გადაიდო.**

## ინფორმაცია

**პარიზი.** საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია 20 წლის ანდრეი ჩესნოკოვმა. მესამე წრეში მან დაამარცხა შვედი მატს ვილანდერი, საბჭოთა სპორტსმენმა უპირატესობას სამ პარტიაში მიაღწია — 6:2, 6:3, 6:2.

## „სპორტლოტო“

**1 ივნისს** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 22-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 6 (ძიუდო), 11 (ფრენბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 37 (აკრობატიკა).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 12 (ტანვარჯიში), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 16 (საცხენოსნო სპორტი), 24 (ხელბურთი).

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 3 ივნისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: სსრ კავშირი — უნგრეთი — 9.55 (1); საჭადრაკო სკოლა — 11.35 (2); რიტმული ტანვარჯიში — 21.15; ბალტიისპირეთის ქვეყნების ველორბოლა 21.45; მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: მექსიკა — ბელგია — 24.00 (II ტაიმი).

**საქართველოს ტელევიზია.** 3 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: სსრ კავშირი — უნგრეთი — 9.55; მექსიკა — ბელგია — 24.00 (II ტაიმი).

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07502